გორის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით გორის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 01 მარტის №ბ20-202306028 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი №2

ქ. გორი 31 აგვისტო 2023 წ.

2023 წლის 31 აგვისტოს გორის მუნიციპალიტეტის მერიაში გაიმართა გორის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ვლადიმერ ხინჩეგაშვილი - გორის მუნიციპალიტეტის მერი - თავმჯდომარე
2. ნიკა ღვინიაშვილი - გორის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - თანათავმჯდომარე
3. დალი ტლაშაძე - გორის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
4. გიორგი ბერიძე - გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
5. რამაზ შიოშვილი - გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
6. დიანა ბერიძე - გორის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
7. ალექსანდრე თარხნიშვილი - გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
8. ღუტო თოდაძე - ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მერის წარმომადგენლების და წარმომადგენლების ასისტენტების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
9. მარლენ ნადირაძე - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე
10. თამარ მურალოვი - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე
11. ასმათ ტალახაძე - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე
12. გიგა გელაშვილი - ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს ფრაქციის თავმჯდომარე
13. მიხეილ გოგინაშვილი - უფრაქციო საკრებულოს წევრი

დღის წესრიგი:

1. სამუშაო ჯგუფისათვის გორის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის პროექტის წარდგენა.

2. გორის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლების განხილვა. მათ შორის: ა) შემოსულობები და ბ) გადასახდელები პრიორიტეტების მიხედვით.
3. სამსახურების მიერ წარმოდგენილი პროგრამების პროექტების განხილვა.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის საბიუჯეტო სამსახურის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა დალი ტლაშაძემ ჯგუფის წევრებს გააცნო გორის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის პროექტი, გორის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებლები, გორის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების მიერ წარმოდგენილი პროგრამების და ქვეპროგრამების პროექტები.

**აზრი გამოთქვეს:**

ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა, თამარ მურალოვმა, ასმათ ტალახაძემ, მარლენ ნადირაძემ, მიხეილ გოგინაშვილმა, დიანა ბერიძემ აზრი გამოთქვეს და იმსჯელეს თუ რამდენად არის მორგებული წარმოდგენილი პროგრამები და ქვეპროგრამები მოსახლეობის მოთხოვნებზე.

**დაადგინეს:**

სამუშაო ჯგუფის სხდომაზე დამსწრე წევრები ერთხმად შეთანხმდნენ, რომ ამ ეტაპზე მოწონებული იქნეს გორის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის წარმოდგენილი პროექტი და გაგრძელდეს მუშაობა სხდომაზე გამოთქმული საკითხების ბიუჯეტში შესაძლო გათვალისწინების მიზნით.

ვლადიმერ ხინჩეგაშვილი ________________

ნიკა ღვინიაშვილი ________________

დალი ტლაშაძე ________________

გიორგი ბერიძე ________________

რამაზ შიოშვილი ________________

დიანა ბერიძე ________________

ალექსანდრე თარხნიშვილი ________________

ღუტო თოდაძე ________________

მარლენ ნადირაძე ____________________________________

თამარ მურალოვი ____________________________________

ასმათ ტალახაძე ____________________________________

გიგა გელაშვილი ____________________________________

მიხეილ გოგინაშვილი ____________________________________